საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 888

08 09 2016 წ.

ქ. თბილისი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარმოდგენის ვადის განსაზღვრისა და სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2016 წლის 08 სექტემბრის №1039721 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური ანკეტა-კითხვარის (შემდგომში - ანკეტა) ცენტრში წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2016 წლის 09 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით;
2. დამტკიცდეს ანკეტის ფორმა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. დაევალოს ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანკეტის ფორმის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის დროებით მოვალეობის
შემსრულებელი

თამარ სანიკიძე

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალური ანკეტა-კითხვარი

დანართი

ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა	
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება	
	იურიდიული მისამართი	
	პროგრამის განხორციელების ადგილი	
	ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი)	
	ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	
	საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება	
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებში	
	მიზანი და სწავლის შედეგი *	

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							

8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							

*მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი **ხელმოწერა**